სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

09 / ივნისი / 2026 წ.

KA080170534548826

№ **1810**

განკარგულება

შპს „იმო მოტორსის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: შპს „ბათუმის წყალი“;

ტენდერის ნომერი: NAT260004386;

შესყიდვის ობიექტი: 50100000 – სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები;

პრეტენდენტი: შპს „იმო მოტორს“ (ს/ნ: 448402853);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2026 წლის 17 აპრილს წარმოდგენილ იქნა შპს „ბათუმის წყლის“ 2026 წლის 17 აპრილის № 60-1426107490 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 3211 და № 3214), რომლითაც სააგენტოს ეცნობა NAT260004386 ელექტრონული ტენდერიდან პრეტენდენტის – შპს „იმო მოტორსის“ (ს/ნ: 448402853) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

1.2. სააგენტომ პრეტენდენტს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის imomotors@gmail.com მეშვეობით, 2026 წლის 21 აპრილის № 1527 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. პრეტენდენტმა სააგენტოში 2026 წლის 27 აპრილს წარმოადგინა 2026 წლის 27 აპრილის განმარტება (რეგისტრაციის №3427) NAT260004386 ელექტრონული ტენდერიდან დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, 2026 წლის 7 აპრილს, შპს „ბათუმის წყალსა“ და გამარჯვებულ პრეტენდენტ – შპს „კ–მოტორსს“ (ს/ნ: 406058126) შორის დაიდო №81 სახელმწიფო

შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და ელექტრონულ ტენდერს მიენიჭა სტატუსი ,,ხელშეკრულება დადებულია“, რის შემდეგაც ცნობილი გახდა ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა მონაცემები. აღმოჩნდა, რომ NAT260004386 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღეს შპს „იმო მოტორსმა“ (ს/ნ: 448402853) და შპს „იმო სტარმა“ (ს/ნ: 448420851). ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ირკვევა, რომ შპს „იმო მოტორსისა“ (ს/ნ: 448402853) და შპს „იმო სტარის“ (ს/ნ: 448420851) 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს ფ.პ. იმედა იაკობაძე, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს შპს „იმო მოტორსის“ (ს/ნ: 448402853) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ 2026 წლის 17 აპრილის სხდომის № 5 ოქმით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „იმო მოტორსსა“ (ს/ნ: 448402853) და შპს „იმო სტარს“ (ს/ნ: 448420851) მისცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

3. პრეტენდენტის პოზიცია

პრეტენდენტი ადასტურებს, რომ შპს „იმო სტარისა“ და შპს „იმო მოტორსის“ დამფუძნებელს წარმოადგენდა ერთი და იგივე პირი - იმედა იაკობაძე, თუმცა არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ, პრეტენდენტი აღნიშნავს, რომ მის მიერ არ ჩადენილა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედება. შპს „იმო მოტორს“ (ს/ნ 448402853) დაფუძნდა 2017 წლის 1 მარტს და მის დამფუძნებელსა და დირექტორს დაარსების დღიდან წარმოადგენდა ფ.პ. იმედა იაკობაძე. შპს „იმო მოტორსში“ შესყიდვების კურატორის პოზიციაზე დაინიშნა ამავე კომპანიის თანამშრომელი ფ.პ. დ.დ., რომელსაც მიენიჭა ერთპიროვნული უფლებამოსილება მოემზადებინა და წარედგინა სატენდერო დოკუმენტაცია. აღნიშნული პირი დამოუკიდებლად იღებდა ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის გადაწყვეტილებას, რის შესახებაც დასტურს აძლევდა კომპანიის დირექტორი. შპს „იმო სტარ“ (ს/ნ: 448420851) დაფუძნდა 2023 წლის 5 იანვარს და მის დამფუძნებელსა და დირექტორს დაარსების დღიდან წარმოადგენდა ფ.პ. მეგი დიმიტრაძე, რომელიც დამოუკიდებლად უძღვებოდა კომპანიის საქმიანობას. სატენდერო წინადადების განხილვა, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და ტენდერში მონაწილეობა არ წარმოადგენდა იმ საგამონაკლისო შემთხვევას, რომელიც პარტნიორის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა. მოცემულ შემთხვევაში, ორივე კომპანიის დირექტორს გააჩნდა უფლება დამოუკიდებლად, პარტნიორის თანხმობის გარეშე განეხორციელებინა ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი ქმედება (ბაზრის კვლევა, დოკუმენტაციის შედგენა, წინადადების წარდგენა და ა.შ.). პრეტენდენტი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ ორივე კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენდა ერთი და იგივე პირი, არ მიუთითებდა მათ შეთანხმებულ ქმედებას. პრეტენდენტი აღნიშნავს, რომ ორივე კომპანიის ფაქტობრივი მისამართი იყო განსხვავებული, კერძოდ, შპს „იმო მოტორს“ მდებარეობდა ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 180ა-ში, ხოლო შპს „იმო სტარ“ – ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის შესახვევი №3-ში. ამასთან, ორივე კომპანიას გააჩნდა შესაბამისი განცალკევებული ინფრასტრუქტურა, გამოცდილი პერსონალი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შპს „იმო სტარის“ დირექტორის, ფ.პ. მეგი დიმიტრაძის, სატენდერო დოკუმენტაცია მომზადებული იქნა დამოუკიდებლად, სატენდერო წინადადება კი წარდგენილი იქნა 2026 წლის 13 მარტს. 2026 წლის 15 მარტიდან ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობის გამო იგი გავიდა შვებულებაში. შპს „იმო მოტორსის“ მიერ სატენდერო დოკუმენტაცია მომზადებული იქნა შესყიდვების კურატორის მიერ დამოუკიდებლად, სატენდერო წინადადება კი წარდგენილი იქნა 2026 წლის 16 მარტს, რაც გამორიცხავდა ორ კომპანიას შორის კოორდინირებულ ქმედებას. აღსანიშნავია, რომ შპს „იმო მოტორსის“ (ს/ნ: 448402853) განმარტება სააგენტოში წარმოდგენილია მინდობილი პირის – ფ.პ. გ.მ.-ს მიერ.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2026 წლის 5 მარტს, შპს „ბათუმის წყალმა“ გამოაცხადა NAT260004386 ელექტრონული ტენდერი სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების, ტექნიკური მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV50100000) შესყიდვის მიზნით.

4.2. NAT260004386 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღეს შპს „იმო მოტორსმა“ (ს/ნ: 448402853) და შპს „იმო სტარმა“ (ს/ნ: 448420851).

4.3. შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ 2026 წლის 1 აპრილის სხდომის № 4 ოქმით, გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ,,კ–მოტორსი“ (ს/ნ: 406058126).

4.4. 2026 წლის 7 აპრილს, NAT260004386 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, შპს „ბათუმის წყალსა“ და გამარჯვებულ პრეტენდენტ – შპს ,,კ–მოტორსს“ (ს/ნ: 406058126) შორის დაიდო №81 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და ელექტრონულ ტენდერს მიენიჭა სტატუსი ,,ხელშეკრულება დადებულია“.

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის 2026 წლის 17 აპრილის სხდომის № 5 ოქმის მიხედვით, ელექტრონული ტენდერისათვის ,,ხელშეკრულება დადებულია“ სტატუსის მინიჭების შემდეგ ცნობილი გახდა ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა მონაცემები, რის შედეგადაც გამოვლინდა შპს „იმო მოტორსისა“ (ს/ნ: 448402853) და შპს „იმო სტარის“ (ს/ნ: 448420851) მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის ფაქტები.

4.6. ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ირკვევა, რომ შპს „იმო მოტორსისა“ (ს/ნ: 448402853) და შპს „იმო სტარის“ (ს/ნ: 448420851) 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს ფ.პ. იმედა იაკობაძე. ამასთან, ფ.პ. იმედა იაკობაძე წარმოადგენს შპს „იმო მოტორსის“ (ს/ნ: 448402853) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს.

4.7. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ 2026 წლის 17 აპრილის სხდომის № 5 ოქმით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „იმო მოტორსსა“ (ს/ნ: 448402853) და შპს „იმო სტარს“ (ს/ნ: 448420851) მისცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

4.8. ინფორმაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ NAT260004386 ელექტრონულ ტენდერში შპს „იმო მოტორსის“ (ს/ნ: 448402853) და შპს „იმო სტარის“ (ს/ნ: 448420851) მიერ ტექნიკური დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილია ერთი და იმავე IP მისამართიდან.

4.9. შპს „იმო სტარმა“ (ს/ნ: 448420851) 2026 წლის 27 აპრილს სააგენტოში წარმოადგინა 2026 წლის 27 აპრილის განმარტება (რეგისტრაციის №3429), რომელშიც აღნიშნავს, რომ, შპს „იმო სტარისა“ და შპს „იმო მოტორსის“ დამფუძნებელს წარმოადგენდა ერთი და იგივე პირი - იმედა იაკობაძე, თუმცა არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ, პრეტენდენტი აღნიშნავს, რომ მის მიერ არ ჩადენილა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედება. შპს „იმო მოტორს“ (ს/ნ 448402853) დაფუძნდა 2017 წლის 1 მარტს და მის დამფუძნებელსა და დირექტორს დაარსების დღიდან წარმოადგენდა ფ.პ. იმედა იაკობაძე. შპს „იმო მოტორსში“ შესყიდვების კურატორის პოზიციაზე დაინიშნა ამავე კომპანიის თანამშრომელი ფ.პ. დ.დ., რომელსაც მიენიჭა ერთპიროვნული უფლებამოსილება მოემზადებინა და წარედგინა სატენდერო დოკუმენტაცია. აღნიშნული პირი დამოუკიდებლად იღებდა ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის გადაწყვეტილებას, რის შესახებაც დასტურს აძლევდა კომპანიის დირექტორი. შპს „იმო სტარ“ (ს/ნ: 448420851) დაფუძნდა 2023 წლის 5 იანვარს და მის დამფუძნებელსა და დირექტორს დაარსების დღიდან წარმოადგენდა ფ.პ. მეგი დიმიტრაძე, რომელიც დამოუკიდებლად უძღვებოდა კომპანიის საქმიანობას. სატენდერო წინადადების განხილვა, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და ტენდერში მონაწილეობა არ წარმოადგენდა იმ საგამონაკლისო შემთხვევას, რომელიც პარტნიორის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა. მოცემულ შემთხვევაში, ორივე კომპანიის დირექტორს გააჩნდა უფლება დამოუკიდებლად, პარტნიორის თანხმობის გარეშე განეხორციელებინა ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი ქმედება (ბაზრის კვლევა, დოკუმენტაციის შედგენა, წინადადების წარდგენა და ა.შ.). პრეტენდენტი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ ორივე კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენდა ერთი და იგივე პირი, არ მიუთითებდა მათ შეთანხმებულ ქმედებას. პრეტენდენტი აღნიშნავს, რომ ორივე კომპანიის ფაქტობრივი მისამართი იყო განსხვავებული, კერძოდ, შპს „იმო მოტორს“ მდებარეობდა ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 180ა-ში, ხოლო შპს „იმო სტარ“ – ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის შესახვევი №3-ში. ამასთან, ორივე კომპანიას გააჩნდა შესაბამისი განცალკევებული ინფრასტრუქტურა, გამოცდილი პერსონალი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შპს „იმო სტარის“ დირექტორის, ფ.პ. მეგი დიმიტრაძის, სატენდერო დოკუმენტაცია მომზადებული იქნა დამოუკიდებლად, სატენდერო წინადადება კი წარდგენილი იქნა 2026 წლის 13 მარტს. 2026 წლის 15 მარტიდან ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობის გამო იგი გავიდა შვებულებაში. შპს „იმო მოტორსის“ მიერ სატენდერო დოკუმენტაცია მომზადებული იქნა შესყიდვების კურატორის მიერ დამოუკიდებლად, სატენდერო წინადადება კი წარდგენილი იქნა 2026 წლის 16 მარტს, რაც გამორიცხავდა ორ კომპანიას შორის კოორდინირებულ ქმედებას. აღსანიშნავია, რომ შშპს „იმო სტარის“ (ს/ნ: 448420851) განმარტება სააგენტოში წარმოდგენილია მინდობილი პირის – ფ.პ. გ.მ.-ს მიერ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „იმო მოტორს“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი

დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

7.4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის თანახმად, აფიდავიტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის. ამასთან, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების დანართის №1-ით დამტკიცებული აფიდავიტის ფორმისა და პირობების მიხედვით, გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ სატენდერო/საკონკურსო წინადადება ან მისი კომპონენტი პრეტენდენტს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო/საკონკურსო წინადადების (მისი შესაბამისი კომპონენტის) განსაჯაროების მომენტამდე. ამასთან, ამავე პირობების მიხედვით, „კონკურენტი“ არის ნებისმიერი პირი, რომელიც არის ან შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ამ ტენდერში/კონკურსში.

7.5. განსახილველ შემთხვევაში, ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ირკვევა, რომ შპს „იმო მოტორსისა“ (ს/ნ: 448402853) და შპს „იმო სტარის“ (ს/ნ: 448420851) 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს ფ.პ. იმედა იაკობაძე. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, პრეტენდენტების მიერ NAT260004386 ელექტრონულ ტენდერში ტექნიკური დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილია ერთი და იმავე IP მისამართიდან. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ შპს „იმო სტარისა“ (ს/ნ: 448420851) და შპს „იმო მოტორსის“ (ს/ნ: 448402853) განმარტებები სააგენტოში წარმოდგენილია ერთი და იგივე მინდობილი პირის – ფ.პ. გ.მ.-ს მიერ, ერთი და იგივე ფორმითა და შინაარსით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობა გამორიცხავს კომპანიების დამოუკიდებლად ოპერირების, მათ მიერ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებისა და NAT260004386 ელექტრონულ ტენდერში განცალკევებულად მოქმედების შესაძლებლობას. ამდენად, ხსენებული გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად დასტურდება პრეტენდენტების მიერ აფიდავიტის პირობების დარღვევა. შესაბამისად, სახეზეა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან დგინდება, რომ შპს „იმო მოტორსმა“ (ს/ნ: 448402853) NAT260004386 ელექტრონულ ტენდერში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება. შესაბამისად, შპს „იმო მოტორს“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით და დაადგინა:

1. შპს „იმო მოტორს“ (ს/ნ: 448402853) 2026 წლის 10 ივნისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი ლაცაბიძე